# კლდე

ქართველ ნაციონალისტთა ორგანო

წელიწადი 1 / N. 1 / ბერლინი, ივლისი 1934 წ
1. Jahrgang / Nr. 1 / Berlin, Juli 1934

„Klde“ / Der Fels
Organ der georgischen Nationalisten

რედაქციის მისამართი — Schriftleitung:
Berlin-Charlottenburg 1, Brauhofstr. 15 II
Telefon: C 4 Wilhelm 1581

ბერლინი. ივლისი. ჩვენი საუკუნე ეროვნულ მოძრაობათა და ერთა განთავისუფლების ეპოქის სახელით შედის ისტორიაში. პოლიტიკურ-სოციალური მოძრაობანი და ცვლილებანი, მათი წინამძღოლი თუ თანამყოლი მსოფლხედველობა და იდეოლოგია ეპოქის სულით არის გაჟღენთილი: ეროვნული პრინციპისათვის და მის გარშემო ხდება დარაზმვა ერის შემადგენელი ძალებისა, კლასთა შედუღებით ერთ მოძრაობაში ცხადდება და ცხოველდება ერის მარადი ერთობა და მთლიანობა; ეს პრინციპი რაზმავს და აჯგუფებს მსოფლიო ძალებს, დიდ თუ პატარა სახელმწიფოებს, თავისუფალ თუ უფლებააყრილ ერებს მომხრე თუ მოწინააღმდეგე ბანაკად.

ეს პროცესი მარტო ევროპიულ ქვეყნების მაგალითით არ განისაზღვრება. მან გარდაქმნა მთელი აღმოსავლეთი, იგი ასულდგმულებს დიდს და პატარა მოძრაობებს სხვაგანაც. ამ პრინციპით განახლდა ქემალის თურქეთი, რიზა ხანის სპარსეთი, ავღანისტანი, იგი აერთებს და მთლიანობის კირით სდუღავს იბნ-საუდის არაბეთს, წინათ საუკუნოებით დაქსაქსულს. ამ პრინციპით აღდგა მან-ჯუკუო, ამ პრინციპით იბრძვიან მონგოლეთი და ძველი თურქესტანი. სწორედ ეს განმათავისუფლებელი მოძრაობანი უძღვიან წინ და იზრდავენ ეროვნულად [illegible]სალ სახელმწიფოს—იაპონიას და ცხადყოფენ და ააშკარავებენ მისი ექსპანსიის განმათავისუფლებელ ხასიათს და მის ისტორიულ მისიას. ამავე პრინციპის შეგნებით და მისი ცხოვრებაში მოვლით შეინახეს თავი და აიცდინეს არა ერთი სამკვდრო ხიფათი როგორც გარეშე, ისე შინაური ინტნრნაციონალურად განწყობილი წრეებისაგან რუსეთიდან განთავისუფლებულმა ერებმა და სამაგიეროდ წეიქცენ რუსეთის იერიშის ქვეშ ისინი, ვინც ეროვნული პრინციპის დევიზი-პატრია სოციალისტურ-ინტერნაციონალურ დოგმას-პარტიას დაუმორჩილეს და შესწირეს. ეს მოვლენა ისტორიულ კანონად გადაიქცა და გამონაკლისი არც იცის და არც ეცოდინება.

ყველგან ეროვნულმა მოძრაობამ თავისი ძალა ღრმა ხალხოსნობაში ჰპოვა, წამართა წინ ყამირი და გადალესა რა იგი ეროვნულ სულის მთლიანობაში, ჰპოვა მან მალამო ეროვნული დაქსაქსულობის, კლასთა ბრძოლის უკულმართი შედეგების დათრგუნვისათვის და გამარჯვებულმა სახელმწიფო საჭეს მიაყუდა ულრმესი ხალხოსნური სუვერენიტეტი, შესცვალა ძველი გამოუსადეგარი კლასობრივი წესი მართველობისა უფრო მარტივი, მტკიცე და სამართლიანი წესით და გადახალისებული ერი წარმატებასა და აყვავებას მისცა.

უფლებრივ სოციალურ ცვლილებათ თან მისდევს მორალური და კულტურული აღდგენა და ამაღლება, მაღალი დისციპლინით გამსჭვალვა და ხასიათისა და ეროვნული სახის პოვნა. მარქსიზმის სახედაკარგულ ბრბოს ადგილზე გამოდის თავის მცნობი, წარსულით ამაყი და მომავლის მორწმუნე, ეროვნული მოვალეობის წმინდა დისციპლინით გამსჭვალული მასა—ერი.

და აი ეს ეროვნული მოძრაობანი, ალაგ გამარჯვებულნი და ბატონნი თავისთავისა, ალაგ კიდევ მებრძოლნი უცხო უღლის მოხსნისათვის თუ შინაური, უკვე უვარგისი წესწყობილების გადასაშენებლად წაებატონენ ჩვენს საუკუნეს და სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაებენ წარსულთან. გერმანიის დიდმა ეროვნულმა რევოლუციამ თავისი მნიშვნელობა იქონია. მან არაპირდაპირი გავლენით დიდი იმპულსი მისცა ეროვნულ მოძრაობებს და ეროვნულ პრობლემის გადაწყვეტას საერთოდ.

ამ ფაქტის მნიშვნელობას სავსებით ააშკარავებს ის ისტერიულად აჩქარებული დარაზმვა, რომელიც მოწინააღმდეგე ბანაკში ხდება. მტრობა ეროვნული მოძრაობისა ერთა თანასწორობის მიმართ აკავშირებს ერთმანეთთან ძალებს, რომელნიც თავის სოციალურ-პოლიტიკური წყობილებით, მსოფლხედველობით და მისწრაფებათა მიმართულებით ერთიერთმანეთის სრული მოწინააღმდეგენი არიან და დღემდის სასტიკ მტრულ ურთიერთობაში იმყოფებოდენ. რა უნდა აერთებდეს, ერთი შეხედვით, ბოლშევიკურ მოსკოვს და მის ხელქვეით კომინტერნს, მათს უიღბლო მიჯნურს მეორე ინტერნაციონალს და მათ დღევანდელ ევროპიულ მოკავშირე-სახელმწიფოებს წმინდა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წყობილებით? პასუხი ერთია: ბრძოლა ახალთან, ბრძოლა შექმნილი ვითარებისა და მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ერთთათვის ომის შემდეგ მოპოებული ბატონობის შესანახად, მეორეთათვის ნგრევისა და დარღვევის, ბოროტებისა და შხამის კვლავ თესვისა და გაღვივებისათვის როგორც ყოველთვის, ამ ორ დიამეტრალურად მოწინააღმდეგე ბანაკთა შორის შუა ძალებიც მოსჩანან, რომელთა აქტიური ჩარევა მსოფლიო პროცესში ცხადად არ ჩანს, მაგრამ რომელთა პოლიტიკის ტენდენცია ააშკარავებს, რომ ახალ დროს—ეროვნულ მოძრაობათა ხანას ანგარიშს უწევენ: თუ დიდი რეფორმატიული საქმიანობით მათ ხელქვეით მყოფ ერთა უფლებრივი მდგომარეობის სისტემატიური გაუმჯობესებით, თუ დღევანდელი ვითარების და ურთიერთობის გადასასინჯად მიმართული მკაფიო სურვილით და საქმიანობით. პირველის მაგალითი—ირაქ-ინგლისის დამოკიდებულებაა. ისტორიული არარაობისაგან დიდი ბრიტანეთის მიერ შექმნილი, ირაქი იხსნის პოლიტიკურ მანდატს და იმავე ბრიტანეთის წყალობით იღებს თანასწორობის სავარძელს ერთა ლიგაში და იმავე დროს აღრმავებს სამეურნეო და კულტურულ თანამშრომლობას იმავე ბრიტანეთთან. და ამ ფაქტში მჟღავნდება ჩვენი საუკუნის ერთი და უმთავრესი მხარე: ის აღარ ითმენს პოლიტიკურ ბატონობას ერთი ერისას მეორეზე და აყენებს ერთა შორის ურთიერთობის პრინციპად ეკონომიურ-კულტურულ თანამშრომლობას თანასწორობის ნიადაგზე. ამ მხრივ ევროპას თავისი ისტორიული მისია ჯერ არ ამოუწურავს; მხოლოდ მისი საქმეა უმტკივნეულოდ გარდაქმნას და გადაახალისოს ძველი გზები და მეთოდები—ახალით, დროს შესაფერი და სასარგებლო გზებით და საქციელით. ცხადია, ურთიერთობის ამ დიდი გარდაქმნის პროცესი შეავსებს მიმდინარე საუკუნის შინაარსს და ბრძოლა მისთვის და მის გარშემო რა სახითაც, სახელმწიფოთა რა დაჯგუფებითაც, არ უნდა მოხდეს იგი, შეადგენენ ცალკე აქტებს იმ დიდ მოქმედებისა, რომლის მონაწილენი ვართ დღიდან დიდი ომის აშლისა და რომლის მომქმედნი და მონაწილენი შემდეგი არა ერთა და ორი თაობა იქნება, სანამ ახალი ხანა გამარჯვებით არ დადუღდება, ცხოვრებაში ბატონად არ დალაგდება.

ქართველი ერი იბრძვის საქართველოს თავისუფლებისათვის, ეროვნული შეგნებით და იდეალით გამსჭვალული. პირზე კლიტით და ხელებზე ხუნდებით, ვერაგი მტრის უღლის ქვეშ მგმინავი, იგი შლის ამ ბრძოლას წმინდა, მაღალ და მეტად რთულ ეროვნულ ფორმებში. მტერს უმკლავდება საქართველო მთლიანი და ქართველი, ეროვნულ შეგნებაში შეერთებული. კლასი, წოდება, კლასობრივი თუ განკერძოებული იდეალი და ინტერესი აღარ არის არც უნდა იყოს. ერი აღიმართა მთლიანად, მთელი თავის ძლიერი, მარადი მოვლინებით და წარიშალა მოჩვენება ბოროტი, განგებ უძლიერეს ფაქტორად აღმართული: კლასის ინტერესი. ის რამაც დაუდგა ტახტი ერის სულის დამცემს და სხეულის დამშლელ მარქსიზმს და საქართველოს სხეულზე მის უბედურ ნაბარტყს—მენშევიზმს და ბოლშევიზის. მკვდარია ერთი, უცხო ხიშტებზე დაყრდნობილი ცოცხლობს კიდევ მეორე.

უნდა განშორდეს საქართველოს არეს პოლიტიკური ცხედარი მენშევიზმისა, აღმოიშალოს ქართულ შეგნებიდან სენი მარქსიზმისა, რომელმაც იქ საქართველო და ერი პარტიას შესწირა და აქ მისი ღირსება და ბედი მეორე ინტერნაციონალს, დღეს მტრის ბანაკში მყოფს, ჩაუწნა.

მარქსიზმის მეორე შტოს, ბოლშევიზმის და მისი შემომტანი ძალის - რუსეთის მოშორება—ეს ის ძირითადი პრობლემაა, რომელიც ქართველი ერის წინაშე საბედისწეროდ დგას; ან განადგურება ან რუსების უღლის მოხსნა—ასეთია მისი საბოლოო ფორმულა.

ეს გარემოება სწყვეტს ჩვენთვის ორიენტაციას და მსოფლხედველობას, იგი აძლევს მიმართულებას ჩვენს მოქმედებას, ჩვენს უნარს, ჩვენს ენერგიას. იგი გვიჩვენებს მტერს და მოკეთეს შინ და გარეთ. მტერია ჩვენი, ვინც რუსთან დგას; მოკეთეა ჩვენი, ვინც ჩვენი თანამებრძოლია რუსეთის წინააღმდეგ. ეს სწყვეტს ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა კავკასიის ერთობის, მისი მომავლის საქმეს. იგი სწყვეტს აგრეთვე ჩვენს დამოკიდებულებას სხვა, ხვედრის მოზიარე და ჩვენთან ერთად ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლ ერებთან; მოსკოვის წინააღმდეგ იბრძვიან: ბელორუსეთი, უკრაინა, ყაზახობა, მაჰმადიანი ერები, ყირიმიდან დაწყობილი—ვოლგა-ყაზანით-შორეულ თურქესტანით გათავებული, რიცხვით თითქმის თანასწორნი მობატონე ერთან, მიწაწყლით გაცილებით დიდით, ვიდრე მთელი ევროპა, დაუშრეტელი, მსოფლიო მნიშვნელობის მქონე, სამეურნეო დოვლათით და შესაძლებლობით და უტეხი, მოუდრეკელი შეგნებით და სურვილით ბორკილების დამსხვრევისა და რუსეთის უღლის მოშორებისა. სისხლით იწერება ეს კოლოსალური განმათავისუფლებელი ისტორია; სხვა ოპოზიცია მოსკოვს არ ჰყავს, და ყველა იმ რუსს, რომელსაც ეჩოთირება ბოლშევიზმი—მიაჩნია იგი რუსეთისათვის მავნე მოვლენად, ადგილი ექნება ამ რიგებში მხოლოდ ერთი პირობით—ეროვნული თავისუფლებისა და თანასწორობის ნიადაგზე. ვერავითარი კომბინაციები დემოკრატიზმის, სოციალიზმის, კომუნიზმის თუ სხვა ,,იდეური‘‘ შანტაჟის სახით არ გვწამს არც ჩვენ არც სხვა მებრძოლ ერებს. ამოვწურეთ ყველა ამ პარტიული ეპოქის რწმენაც და ფასიც, ძვირად, ძალიან ძვირად დაგვიჯდა იგი. ჩვენ ვიბრძვით **მამულისა და ერისათვის**. ეს ბრძოლაა არა რაიმე დოქტრინისათვის არამედ ერის **ცხოვრებისათვის**, მისი **უფლებისათვის**. ეს ბრძოლაა ხალხისა და ხალხოსნური და იგი არ დამთავრდება რუსის ჯარის გაყვანით და რუსის მოხელეთა განდევნით: უნდა ამოგლეჯილ იქმნას ჩვენი სახიდან, ჩვენი სულიდან და სხეულიდან ყველაფერი, რაც რუსის გზით—ძველი ადმინისტრატიული დევნის, გარუსების პოლიტიკის, თუ მარქსიზმ-კომუნისტობის გზით ყოფილა და არის შემოტანილი; ნაკრავია ამ შხამით არა თუ სახე და ხასიათი ერისა, არამედ მისი შრომის, სამეურნეო ურთიერთობის, ადათის და ტრადიციის კანონებიც. ამისთვის იბრძვის დღეს საქართველო, ეს არის და უნდა იყოს პროგრამა და იდეალი ყველა ქართველისა. ეს არის პროგრამა და იდეალი, რომელსაც თავისი საწყისი ერის დაბადებიდან მოაქვს განუწყვეტლივ, უზიდნია იგი ერის შავსა და ბრწყინვალე დღეებში, ერის ამაღლებისა და დაცემის ხანაში და ეზიდება მას ერის

## ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

(გარდაცვალების IV წლის თავზე)

1921 წელს საქართველოს რუსეთი შემოესია. ჩვენმა მთავრობამ ჩაიდინა ყველაფერი, რომ ქართველი ერის ძალა დაქსაქსულიყო და მოსისხლე, ისტორიულ მტერთან ბრძოლაში იგი დამარცხებულიყო: ერს და პარლამენტს საქმის ნამდვილი ვითარება დაუმალა; ისედაც ,,გერად‘‘ ცნობილი ჯარი დაშალა, მისი ნაწილობრივი



დემობილიზაცია სწორედ ომის წინა დღეებში მოახდინა; როგორც მობილიზაციის ისე ქვეყნის დაცვის გეგმა, სამხედრო წრეებისაგან შემუშავებული, არ მიიღო და არც მის ნაწილობრივ მაინც გატარებაზე იზრუნა; დამფუძნებელ კრების კომისიას **ყალბი** ცნობები მისცა ჯარის რიცხვზე და მუნიციის რაოდენობაზე; ომის დროს არსენალი დაცარიელებული და ჯარისთვის მიჩნეული იარაღი და სურსათი პარტიულ გვარდიისათვის დარიგებული აღმოჩნდა მთელი სატრანსპორტო შესაძლებლობა, წინასწარ და განზრახ პარტიის პარკებში თავმოყრილი, ომში ჩვენთვის დაუქმებული გამოდგა და მიგებებულ იქნა მტრისთვის ს. დ. პარტიისა და მთავრობის წევრის, მოღალატე ფარნიევის მიერ-ერმა სხვა სიმწარეც განიცადა: ეს პირველი მაგალითი იყო მთელს ჩვენს ხანგრძლივ ისტორიაში, რომ მთავრობა საქართველოს გაეპარა და ერის ხვედრის გაზიარებას მოერიდა. ამით ჩვენს სპეტაკ ისტორიას მოურეცხელი ლაქი დააჩნდა. დედაქალაქი ისე ჩაუვარდა მტერს, რომ ერთი კაცი არ მოკვდა მის ქუჩებში... ვაი შერცხვენილო თავო და ჩვენო დედა ტფილისო, როგორ გაიქელა მანდილი შენი! შერცხვა, შვილთა ერთგულებით წინათ ამაყი, სახელი შენი!..

ღალატით მოტყუებულმა ერმაც ქვა მიაგდო ამ მთავრობას. ისტორია წყევლისა და კრულვის განაჩენს უწერს მას...

და საქართველო თავის გზას დაადგა: ბრძოლას, ბრძოლას გამარჯვებამდე! და ამ ბრძოლის გასაძღოლად, ძალების მოსაკრებად და გამარჯვებისაკენ წასაყვანად—ერმა თავისი პირმშო შვილი, თავადი სულით, გმირი გულით და მარჯვენით, ქაქუცა აირჩია. ეს საქმე არ გადაუწყვეტია კენჭს და პარტიულ ,,რეჩს‘‘. უკვდავმა ძალამ მარადისობისამ, ქალთა და ვაჟთა მამულისათვის თავდადებისა და შეწირვის ინსტიქტმა და ვნებამ ქაქუცა გააბელადა. მას გაჰყვა ერთგულება ერისა ვინ იცის რა ხნით აშლილ ბრძოლაში ძველი დევიზით: ,,სიკვდილი ან გამარჯვება!‘‘ ღირსეულმა შვილმა გაშალა ალამი, ჟანგი შეჰკოდა ხმალს და ,,საომრად ჯვარი დასწერა‘‘.

რა ვუყოთ, რომ გამარჯვების დროშა ძველი მეტეხის ზღუდეს არ აეკიდა, ტფილისზე არ აფრიალდა. ვისაც გამარჯვება უნდა, დროებით წაჩოქვასაც უნდა ელოდეს და აიტანოს; როდის გატეხილა გმირის გული ბრძოლის წაგებით?!.

ხორცი—მიწიერი—მიწას მიჰბარდა, მწარე ხვედრით—უცხოეთში; სული ქართველ უკვდავთა რიგებში ჩადგა! როდის და ვისი სახით მოგვევლინება იგი, ვისი პირით დაგვძახებს ბრძოლის ყიჟინას—სულერთია, მაგრამ დაგვძახებს კი... ეს ეზიდება ჩვენს რწმენას, თვალს და ხელს წინ მოლოდინში..

დღეს კი, IV წლის თავზე, სიმტკიცე ფიცში გამარჯვებისათვის—ქაქუცას უკვდავი, ღირსი ძეგლისათვის!

შეფიცული.

მარადისობის გზით მის გამარჯვებისა და დიდებისაკენ. ის მოქმედება, რომელიც აჰკინძვია ამ მარადისობის გზას, რომელსაც უცვლია ფორმები მართველობისა და გამგებლობისა, უცვლია სოციალური ძალები, უჭედნია საკუთარი სიბრძნით და ღირსებით შინაური და გარეშე პოლიტიკა ხშირად მეტად რთულ პირობებში — ქართული ნაციონალიზმი ყოფილა. აქეთ, მის გაშლაგანაღდებისკენ მიგვაქვს ჩვენ ჩვენი რწმენა, ჩვენისიტყვა, ჩვენი საქმე.

შ. ქ.

## შ ო რ ე უ ლ ი ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი.

შორეული აღმოსავლეთი მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა საბჭოთა რუსეთსა და იაპონიას შორის სამხედრო შეტაკებას და ამაში აგრეთვე ამერიკის ჩარევას უკვე დღე-დღეზე მოელიან

მაგრამ რა საბუთები არსებობს ომის აუცილებლობის დასაშვებად? როგორია მიზეზთა განვითარება, რომელიც შედეგად ომს უნდა გულისხმობდეს?

ჩვენ ვიცით, თუ რარიგ ცდილობდა ძველი რუსეთი გასავალი ეპოვა თბილი ზღვისაკენ. უზარმაზარი მაგრამ ანარქიით დაუძლურებული ჩინეთი ვერ ახერხებდა შეეჩერებია რუსეთის ძლევამოსილი წინსვლა წყნარი ოკეანის სანაპიროსაკენ. მანჯურიაში შეჭრა, პორტ-არტურის იჯარით აღება და კორეის გახვევა სხვადასხვა კონცესიების ბადეში — ყველა ეს ხანგრძლივი ცდითა და მეცადინეობით მოპოებული მიღწევები — ერთდროს თითქოს უფლებას აძლევდენ რუსეთს, შორეულ აღმოსავლეთის ნაპირებზე ფეხი მტკიცედ მოკიდებულად ეგრძნო. მაგრამ იაპონიის ანაზდეულმა და მძლავრმა დაკვრამ ეს ილუზია ნალე გააქრო; რუსეთი იძულებული შეიქნა უკუქცეულიყო და თავის პრეტენზიებზე დროებით მაინც უარი ეთქვა.

ამ გამარჯვების შემდეგ იაპონია გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე როგორც ახალი პირველხარისხოვანი ძალა, რამაც დიდად დააფრთხო მისი მაშინდელი მოკავშირე ინგლისი, რადგან ძლიერი იაპონია უკვე საშიში გახდა მისი სამფლობელოებისათვის აზიასა და ავსტრალიაში. ამერიკამაც შესცვალა მისი კეთილგანწყობილი პოლიტიკა იაპონიისადმი: წყნარი ოკეანის პრობლემა როგორლაც უცებ გამწვავდა და ამერიკის „დიდი ეკონომიური ინტერესები ჩინეთში საფრთხეში მოექცა“. ეს სახელმწიფოები დააფრთხო განსაკუთრებით იაპონიის გაძლიერებამ ზღვაზე. წონასწორობის აღდგენის მიზნით, ისინიც შეუდგენ საზღვაო ფლოტის გადიდებას, მაგრამ ამ შეჯიბრს ისეთი ჩქარი ტემპის აღება დასჭირდა, რომ ამერიკა და ინგლისი მალე იძულებული შეიქნენ ეზრუნათ რაიმე კომპრომისული შეთანხმებისათვის იაპონიასთან. ხანგრძლივიცდის შემდეგ ასეთი შეთანხმება მიღწეულ იქნა ე წ. ვაშინგტონის ხელშეკრულებაში, რო-მელიც ინგლის-ამერიკა-იაპონიის საზღვაო ძალებს განსაზღვრავდა პროპორციით 5:5:3. შეთანხმებას პირობად დაედვა აგრეთვე რამდენიმე პოლიტიკური დათმობა ამერიკის მხრივ; მაგ., უარის თქმა ფილიპინში სამხედრო ბაზების მოწყობაზე და სხვ.

ვაშინგტონის ხელშეკრულებამ იაპონიის საზოგადოებაში, და გამსაკუთრებით სამხედრო ახალგაზრდობაში, უკმაყოფილების მთელი ქარიშხალი გამოიწვია; მოკლულ იქნა პრემიერმინისტრი, და რამდენიმე ოფიცერმა ნიშნად პროტესტისა ასეთი „სამარცხვინო“ ხელშეკრულებისათვის თავი მოიკლა „ხარაკირით“...

ეჭვს გარეშეა, რომ წყნარი ოკეანის პრობლემა და ამერიკა-იაპონიის ეკონომიურ ინტერესთა შეჯახება ჩინეთში კიდევ დიდხანს იქნება მათ შორის შუღლისა და მეტოქეობის საგანი მაგრამ ფიქრი, რომ ასეთი ურთიერთობა უახლოეს მომავალში ომს გამოიწვევს, საფუძველს მოკლებულია. ამერიკა დღეს მძიმე შინაურ კრიზისს განიცდის, რაც ომის წარმოების საშუალებას სპობს. გარდა ამისა, იაპონიის სამხედრო ტექნიკა დღეს იმდენად მაღალია, რომ მასთან მებრძოლი ამერიკა გამარჯვების უტყუარ იმედს ვერ იქონიებს. იაპონიის მეტროპოლია მისი კუნძულებით ჩინებულად არის მომზადებული თავდაცვისათვის: მას შეუძლიათ მოგერიება ამერიკის ფლოტზე ძლიერი ძალებისაც კი. ამასთან მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ის გარემოება, რომ ამერიკას იაპონიისაგან დიდი მანძილი აშორებს; მისი უახლოესი ბაზა (პერ-ჰარბორი) 4000 საზღვაო მილით არის იაპონიიდან დაშორებული, ხოლო ეს შორ სივრცეზე სამხედრო ფლოტის მოქმედება ისეთი რისკია, რომელსაც ამერიკა ვერ დაუშვებს.

მაშასადამე, დღეს გარკვეულად შეიძლება მხოლოდ რუსეთ-იაპონიის ომის მოსალოდნელობაზე ლაპარაკი. ასეთი პროგნოზისათვის საკმაოდ ბევრი საფუძველია მოცემული; და, სახელდობრ, შემდეგი:

1. შორეულ აღმოსავლეთში ერთმანეთს უპირისპირდება ორი ძალა: ერთი მხრით, ნაციონალური იაპონია (ძალა წესრიგისა) და მეორე მხრით, ინტერნაციონალური ბოლშევიზმი (დამრღვევი ძალა).

2. გარკვეულად დასახელება, თუ რა მიზნებს ისახავს იაპონია შორეულ აღმოსავლეთში, რათქმაუნდა, ძნელია, მაგრამ ზოგი რამ მაინც ნათელია:

საშინელი მიწის სივიწროვე მეტროპოლიაზე მას -ზედმეტი მოსახლეობის მოსაწყობად — ახალი ტერიტორიების შეძენას უკარნახებს.

შემდეგ: იაპონიის არაჩვეულებრივ განვითარებული წარმოება ეძებს ბაზარს, როგორსაც პირველ რიგში ბუმბერაზი ჩინეთი წარმოადგენს თავის 450-მილ. მოსახლეობით. უკანასკნელი ცნობებით იაპონიის ვაჭრობა მსოფლიო ვაჭრობის 5% შეადგენს.

მესამე: მართალია, მდიდარი მანჯურიის დაკავებით იაპონია მეტად გაძლიერდა და ჩინეთის საფრთხისაგან თავი უზრუნველ ჰყო, მაგრამ უკანასკნელის „გამოფხიზლება“ უცხო, იაპონიისადმი მტრულად განწყობილი ძალების დახმარებით, მას მომავალში მაინც უქადის გართულებას და სიძნელეებს. ამიტომ იაპონია ცდილობს — შეიტანოს წესრიგი ჩინეთში და ის უცხოთა გავლენას ჩამოაშოროს.

3. ამ ისტორიულ გზაზე მისი უდიდესი მტერია მოსკოვი — ჩინეთის გასაბჭოების გეგმით. წითელი რუსეთიც მსგავსად ძველისა აშკარად მიიწევს წყნარი ოკეანისაკენ, მაგრამ დღეს უკვე „იდეური“ დროშის ქვეშ — „დამონებული ჩინეთის დასახმარებლად“. საბჭოთა პრესაც ხომ დიდი ხანია პათოსით გაიძახის: „ხელები შორს ჩინეთისაგან!“ „იბღავლე ჩინეთო!“ და სხვ. ა. მ.

რუსების მოქმედება გარე-მონგოლიაში და აღმოსავლეთ თურქესტანში იაპონიის ექსპანსიისათვის აშკარა მუქარას წარმოადგენს...

4. ამ საშუალებათა საპასუხოდ იაპონიამ მისი გენერალის არაკის პირით გადმოისროლა ლოზუნგი: „აზია — აზიელთათვის!
საგარეო საქმეთა მინისტრის კოკი ხირორტას აპრილის მემორანდუმს სთვლიან ყველგან „მონროეს“ ამ აზიურ დოქტრინის აღიარებად...

ამნაირად, შორეულ აღმოსავლეთში რუსეთ-იაპონიის მოწინააღმდეგე ინტერესთა კვანძი დღითი-დღე უფრო და უფრო ინასკვება და მისი გადაჭრა მხოლოდ ხმალს შეუძლია...

ყველაზე მწვავედ ამას ბოლშევიკები განიცდიან; რუსეთში არაფერზე ლაპარაკობენ იმ-



ა დ ო ლ ფ ჰ ი ტ ლ ე რ ი და ბ ე ნ ი ტ ო მ უ ს ს ო ლ ი ნ ი
ისტორიული შეხვედრა ვენეციაში

## ნ ა ც ი ო ნ ა ლ - ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს ძ ი რ ი თ ა დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი.

ევროპის პოლიტიკური სახე უკანასკნელ წლების განმავლობაში სრულებით გამოიცვალა. ჩნდება ახალი იდეები, იქმნება სახელმწიფოების ახალი ფორმები. ის რაც შინაარსით მოკლე და უმნიშვნელოა, დრომოჭმული და უნიადაგო, ახალ ძალებს უთმობს ადგილს და სამუდამოდ წარსულს ებარება. ხდება ძალთა ახალი გადაჯგუფება და დარაზმვა, შეხედულებათა საბოლოო კრისტალიზაცია. ამ მოვლენათა უდიდეს ფაქტორად თანამედროვე და მომავალ ისტორიაში შეიძლება ჩაითვალოს გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა. წინამდებარე წერილში ჩვენ გვსურს განვმარტოთ მისი შინაარსი და შევეხოთ მოკლედ მის მთავარ დამახასიათებელ მხარეებს.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა გავსინჯოთ, თუ როგორ აქვს წარმოდგენილი ნაციონალ-სოციალიზმს მსოფლიო წესწყობილება. ის ხედავს ამას შემდეგნაირად: ყოველი ა დ ა მ ი ა ნ ი ბუნებაში არსებულ კანონების ძალით ო ჯ ა ხ ი ს წევრია. რამოდენიმე ოჯახი ერთად ჰქმნის ნ ა თ ე ს ა ო ბ ა ს, ესენი ჰქმნიან ტ ო მ ს, ხოლო ტომები — ე რ ს. ერი ეკუთვნის განსაკუთრებულ რ ა ს ა ს და ეს უკანასკნელი შედის როგორც დამოუკიდებელი ერთეული კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ა შ ი.

ეს წესწყობილება შეგვიძლია გამოვხატოთ ვერტიკალური ხაზების საშუალებით შემდეგნაირად:

კაცობრიობა
|
რასა
|
ერი
|
ტომი
|
ნათესაობა
|
ოჯახი
|
ადამიანი

დაწყებული ადამიანით და გათავებული კაცობრიობით მსოფლიო წესწყობილება წარმოადგენს მთლიან ჯაჭვს. აქედან ცხადია, რომ ერის არსებობა შეუძლებელია, თუ მოსპობილია ის ელემენტები, რომელნიც ერში შედიან. ამ სქემაში გამოიხატება ნაციონალ-სოციალიზმის პირველი და უმთავრესი დებულება.

ამ სქემის შინაარსს და მნიშვნელობას უკეთესად გავიგებთ, თუ შევადარებთ მას მარქსისტულ შეხედულებას მსოფლიო წესწყობილებაზე.

როგორც ცნობილია, მარქსიზმი ანაწილებს მთელ კაცობრიობას ორ კლასად: კლასი, რომელსაც საკუთრება აქვს და კლასი, რომელსაც საკუთრება არ აქვს. ერთი მხრივ მაშასადამე — „მჩაგვრელნი“, მეორე მხრივ — „დაჩაგრულნი, და ყოველი ადამიანი ან ერთ კლასს ეკუთვნის, ან მეორეს ამ დანაწილების მიხედვით.

ეს შეხედულება შეგვიძლია ზუსტად გამოვხატოთ მხოლოდ ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ი ხაზების საშუალებით, ვინაიდან ამ წესწყობილების ელემენტები არ არიან ორგანიულად დაკავშირებული ერთმანეთთან:

— კაცობრიობა —
— კლასი : კლასი —
— ადამიანი —

შევადარებთ რა ამ ორ სქემას და ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების მნიშვნელობას დავაკაკვირდებით, ვნახავთ მაშინვე, რაში გამოიხატება ნაციონალ-სოციალიზმის და მარქსიზმის უდიდესი განსხვავება.

მარქსიზმი უარყოფს ყველა გადამბმავ წევრს ადამიანსა და კაცობრიობას შუა, უარყოფს ოჯახს, ერს, სამშობლოს და აყენებს ამ ცნებათა მაგიერ კლასს, ნაციონალ-სოციალიზმი კი უარყოფს კლასს და ეყრდნობა მთელი თვისი შინაარსით ოჯახს და ერს.

აქ ნაციონალ-სოციალიზს მისი შეხედულების დასაბუთებაში ,რომ სახელმწიფოს დამყარება ფაქტიურად მხოლოდ ეროვნულ და არა კლასიურ ნიადაგზე შეიძლება, ეხმარება თვით მარქსიზმი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნაციონალ-სოციალიზმი წარმოიშვა მის მერე, რაც მარქსიზმი თეორიულად შემუშავებულ და პრაქტიკულად „გაყვანილ“იქნა ცხოვრებაში,ე.ი. ის წარმოადგენს იმ ანტი-ძალას, რომელიც შექმნა თვით ცხოვრებამ კომუნიზმის საწინააღმდეგოდ. მაშინ როცა მარქსიზმი საწერ მაგიდაზე წარმოიშვა, როგორც შედეგი ადამიანის თეორიულ გამოანგარიშებათა, ნაციონალ-სოციალიზმი შობილია რეალური ცხოვრების მიერ, როგორც ცოცხალი ძალა. ამიტომ გუნებრივია, რომ ნაციონალ-სოციალიზმი არ იკარგება თეორიებში, არამედ სარგებლობს მხოლოდ იმ მაგალითებით, რომელთაც მას ცხოვრება აძლევს. თუ რუსეთის ოქტომბრის რევოლუციამდე დასაშვები იყო ფიქრი იმაზე, რომ მარქსისტული იდეების განხორციელება ნაწილობრივ მაინც შესაძლებელია, დღეს პირიქით იმის დამტკიცება, რომ მარქსიზმი არის უტოპია, სრულებით ადვილი საქმეა. ეჭვს გარეშეა, რომ სწორედ იმ მომენტმა რომ რუსეთში კომუნიზმი და ე. წ. „პროლეტარიატის დიქტატურა“ სუფევს, გაუადვილა ნაციონალ-სოციალიზმს გამარჯვება გერმანიაში, ვინაიდან ყოველი ნაბიჯი, რომელიც გადადგმულ იქნა რუსეთში მარქსიზმის განსახორციელებლად და ყოველი საამისოდ მიღებული ზომა ერთი მხრივ თვით მარქსიზმს უთხრის ძირს, ხოლო მეორე მხრივ პირდაპირ ამტკიცებს ნაციონალ-სოციალიზმის თეზების ჭეშმარიტებას.

მაგალითად როგორ გამოიყურება სინამდვილეში ოჯახის უარყოფა? პასუხს გვაძლევს აქ რუსეთის მაგალითი; ყველასათვის ცნობილია ის საშინელი ზნეობრივი დაცემა და საზოგადოებრივი ცხოვრების ქაოსი, რომელიც მოჰყვა შედეგად ამ გვარ ცდებს რუსეთში.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ოჯახი არის ის ძალა, რომელშიც გამოიხატება ყოველი არსების პირდაპირი დანიშნულება ბუნებაში, ე.ი. ოჯახი არის ის ერთადერთი საშუალება, რომელიც ადამიანს აძლევს შეძლებას თავისი „მე“ შეინარჩუნოს მომავალშიც. ოჯახი ჰქმნის ადამიანს, როგორც პაროვნებას, აქ ადამიანი ღებულობს პირველ გაკვეთილებს საზოგადოებრივი ცხოვრებისა, აქ ხდება ადამიანის ღირსების კრისტალიზაცია. ოჯახის უარყოფა ნიშნავს ადამიანის ზნეობრივად მოსპობას. და რადგან არც ერთ სხვა ძალას არ შეუძლია შესცვალოს ოჯახი და მისი მნიშვნელობა საზოვადოებრივ ცხოვრებაში, ცხადია, რომ სახელმწიფოს პირდაპირ ინტერესებში შედის შეინარჩუნოს ძლიერი და ზნეობრივად მაღლა მდგომი ოჯახი.

როგორ გამოიყურება პრაქტიკაში ასე იოლად უარყოფილი ერი და სამშობლო? ცნობილია კრისპინის სიტყვა: „სამშობლო, რომელსაც გერმანიას უწოდებენ, ჩემთვის უცნობია“. ასე თეორია. და პრაქტიკა? 1914 წელს ომის გამოცხადების წინ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია გერმანიის რაიხსტაგში ერთხმად მიემხრო მთავრობის „იმპერიალისტურ“ მოწოდებას ამით სოციალ-დემოკრატიამ ერთის მხრივ ფაქტიურად ულალატა თავის თეორიებს, ხოლო მეორე მხრივ აღიარა ამით, რომ ადამიანის გარდაქმნა თეორიების საშუალებით შეუძლებელი არის. ცნობილია აგრეთვე ტროცკის მოწოდება პოლონეთთან ომის დროს. რუსეთის მთავრობას ხაზი უნდა გაესვა იმისთვის, რომ ის ებრძვის პოლონეთის „მჩაგვრელ“ კლასს და არა პოლონელ მუშებს, რის გამოც ყველგან ისმოდა „ძირს პანები“. მაგრამ როცა რუსეთის ჯარმა უკან დაიხია და მდგომარეობა სახიფათო გახდა, ტროცკიმ მიმართა ჯარს: „სამშობლო საფრთხეშია“, ე. ი. მიმართა რუსი კაცის ბუნებრივ გრძნობას, დაეცვა თავისი სამშობლო და არა რაიმე კლასი.

რასიული კანონების მიხედვით ყოველი ადამიანი ეკუთვნის განსაკუთრებულ ერს, ამიტომ ის უკვე ბუნებიდან აღჭურვილია სიყვარულით თავის სამშობლოსადმი. ამ გრძნობის მოკვლა

დენს, რამდენსაც ომის საშიშროებაზე; მაგრამ გარეგნულად იხტიბარს მაინც არ იტეხენ და ფაფხურობენ სტალინმა ერთ სიტყვაში აღნიშნა იაპონიასთან ომის აუცილებლობა, რის გამო, მისი თქმით, საბჭოებმა მძიმე ინდუსტრიის ქარხნები გადაიყვანეს თავდაცვის მოდერნულ იარაღების წარმოებაზე.

მოლოტოვი, ლიტვინოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი და სხვ. დაუფარავად ემუქრებიან იაპონიას...

ახალი ომის მოლოდინში უცხოეთის გაზეთების სამხედრო მიმომხილველნი ანგარიშობენ მოწინააღმდეგეთა ძალებს; მაგრამ შეფასებისას მებრძოლ მხარეთა მხოლოდ რაოდენობითს და არა თვისობრივ მომენტს. სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთ შეფასებათა შედეგები ურთიმეორეს ეწინააღმდეგება მაგრამ ერთს მაინც ყველანი ერთხმად აღიარებენ, რომ შორეულ აღმოსავლეთში მდგომარეობა მეტად დაძაბულია და ომი დღე-დღეზე მოსალოდნელი...

წითელი სარდლობა ძალებს თავს უყრის ორ ჯგუფად: 1) პრიმორიეში (იმანის რაიონში: ვლადივოსტოკი - პოსიეტი) და 2) ტრანსბაიკალიაში (ზაბაიკალიე) ამ ჯგუფებს, გაძლიერებულს მძლავრი საავიაციო საშუალებებით, დაკისრებული აქვს აქტიური ამოცანები

კომუნისტური პარტიის XVII ყრილობაზე ბლიუხერმა კვეხნით განაცხადა: „შორეულ აღმოსავლეთში ჩვენ ყოველთვის გვექნება მეტი აეროპლანები, ვიდრი იაპონელებს .. ჩვენი ძლიერი დაკვრისაგან სადაც იქნება დაიმსხვრევიან ზღუდენი კაპიტალიზმისა"...

ბლიუხერის ტრაბახი ძლიერ ჰგავს ძველს რუსულს „მაკაკი... შაპკამი ზაკიდაემ"... რა ძალებსაც არ უნდა მოუყარონ თავი ბოლშევიკებმა იაპონიის წინააღმდეგ, ომის შედეგი ჩვენთვის სავსებით ნათელია: საბჭოთა რუსეთი, შემდგარი უფლება აყრილ ერთა ანტიბუნებრივ „კავშირისაგან", მიექანება თავის ლოგიკურ დასასრულისაკენ — დანგრევისაკენ!

რ. მკურნალი

---

## ჯვარედინზე

სტამბოლი, თიბათვე.

(ჩვენი თანამშრომელისაგან)

პოლიტიკური სიბერე ძველ სტამბოლს არ ეკიდება და ჟამთა დენაში პოლიტიკური მნიშვნელობა „მსოფლიო ქალაქისა' არ შეწყვეტილა, არც წყდება. აქ, ამ „ხმელეთთა ჯვარედინზე", შეხლიან ერთმანეთს ძალები, რომლის შედეგს დიდი ისტორიული ეპოქები შეუქმნია, შეუბრუნებია წაღმა თუ უკუღმა ცხოვრება არა ერთი ერისა და სახელმწიფოსი, უცვლია წერა და ბედი მათი და წაულამავს საუკუნოებით დალაგებული კულტურულ-სოციალური ურთიერთობანი და მთელი მსოფლხედველობანი ასეთი ხვედრი და მნიშვნელობა სტამბოლისათვის მის გეო-პოლიტიკურ მდებარეობას მიუსჯია და წინასწარ გადაუწყვეტია: აქ სწვრავს დარდანელის სრუტე ხმელეთებიდან მომავალ გზებს და აქედან ეზიდება შავი ზღვა მიმართულებათ და შლის მათ მრავალმხრივ კაცობრიობის ისტორიის ოკეანისა და დუღილის ასპარეზისაკენ — დუნაით ბალკანეთ-შუა ევროპისაკენ, დნეპრით და აზოვით სკვითთა უსაზღვრო ქაოსიან ველებისაკენ და ბუმბერაზ კავკასიონის გასწვრივ და მიყოლებით აზიის შუა გულისაკენ. თვით ჩვენი თაობა, რომლის ხანა ისტორიისათვის ერთი მთქნარება დრო არის, მოწმეა იმის, თუ რა დიდ და რთულ ძალთა შეხლა-შემოხლისა, დიდ პოლიტიკურ ფაქტორთა და ურთიერთობათა ცვლის კვანძი, მონაწილე და მოწმე იყო სტამბოლი. დღესაც არა ნაკლების ძალით არის დაძაბული აქ საერთაშორისო პოლიტიკური ატმოსფერა, ვიდრე ეს ომის წინა დღეებში და მას შემდეგ იყო. ყრუდ და ჩუმის დუღილით მობობოქრებულან და მოზიდულან შორს სხვადასხვა მხრიდან ტალღები და მოწინააღმდეგე ინტერესები, რომელთა აუცილებელი დაშლა და განწმენდა, რა ფორმითაც არ უნდა მოხდეს იგი, ახალი ხვედრით უქადის ბევრს და მათ შორის საქართველოსაც, ვინაიდან „ბედი ქართლისა" და მასთან მისი სასაზღვრო მიდამო კავკასია მუდამ მონაწილე, განმცდელი და მოზიარე ყოფილა ამ ფართო ფარგლებში აშლილი დრამისა.

ერთი შეხედვით ახალი თურქეთის პირი და ურთიერთობა რუსეთისა და ევროპისაკენ იყო და არის მიმართული. რესპუბლიკამ ცნობილი დეკლარაციით „შეიზღუდა" მისია, უარი თქვა ძველი ოსმალეთის, როგორც სამუსულმანო სახელმწიფოთა, ტრადიციაზე; ხალიფატის მოსპობით კი დასთმო რელიგიურ-მორალური უფროსობა და კავშირი, რომელიც მას ევროპა და რუსეთს აშორებდა და მთლად სამუსულმანო ქვეყნებთან სჯაჭავდა. შინაურმა სოციალურ-პოლიტიკურმა რადიკალურმა რეფორმებმა, ევროპის მიბაძვითა და ყაიდით გატარებულებმა, უფრო განამტკიცეს ეს აზრი. სინამდვილეში კი სხვა რამეც იჩენს თავს ტრადიციის პირის შებრუნება და ძველი, საუკუნოებით დაგროვილი მემკვიდრეობიდან განთავისუფლება, არც ისე ადვილი საქმე ყოფილა. ამ ფაქტორთა წინაშე იძულებული ხდებოდა რესპუბლიკის მთავრობა ხამუშ-ხამუშ თვალი ებრუნა და ამ, ასე ვთქვათ, ზურგში მომდგარ საქმეებისათვისაც ანგარიში გაეწია ასეთი „რევიზიის" პირველი შედეგი მუსულმანურ სახელმწიფოთა ბლოკის დაარსება იყო. ამ მოკლე ხნის განმავლობაში სასწაულებრივი სიჩქარით მთლად შეიცვალა ამ სახელმწიფოთა დაწყობილება და ახალი ცხოვრებისათვის ატეხილი მაჯის ცემა. ახალი ავღანისტანი, რიზა ხანის სპარსეთი — ეროვნული აღორძინებისა და მთლიანობისკენ შეუჩერებელი ძალით მიმწევი, იბნ-სეიდის არაბეთი — სახელმწიფოებრივი წესისა და მართველობის სრული შეცვლით, ღრმა სამეურნეო-ფინანსიური რეფორმებით. ალაგ-ალაგ დაწყობილი ინდუსტრიით და მოდერნულად გაწრთვნილი ჯარით — სულახალი წონისა და ხასიათის ფაქტორები არიან და მოითხოვენ ანგარიშის გაწევას ყველასაგან და უპირველესად კი თურქეთისაგან. ქემალმა სწორედ და პირველმაც შეაფასა მთელი მნიშვნელობა ამ ფაქტისა და გონიერი დათმობით და მორიგებით (სპარსეთთან „მიწა-წყალზე" მორიგდა, ვახაბიტებთან „გატარებულ საერო პოლიტიკისათვის" თავი იმართლა და მოიბოდიშა) და კვლავ შამაერთებელ ცენტრად და მომავალი საერთო მოქმედების მესაჭედ გახდა. ამავე ძალთა წრეში შესულია, ისტორიისათვის მოულოდნელი სტუმარი — ირაქი, აქითვე მოისწრაფის ეგვიპტე. ამ ძალების გავლენას უნდა მიეწეროს „მხურვალე მიჯნურობის" ჟამს ცივი უარი ქემალისა მეტად წარმტაც და საღერღელის ამშლელ აღმოსავლეთის ლოკარნოს პროექტზე, რომელიც რუსებმა წამოაყენეს და რამდენჯერმე დაჟინებით განიმეორეს. ამის მაგიერ ეს ბლოკი „ჩატეხილი ხიდის" აღსადგენად და მომავალი ურთიერთობის გასამტკიცებლად ახალ პროექტით — სრულ თანასწორობის ნიადაგზე „ბალკანეთის კონფედერაციის" დაარსებისა — რუსეთის საწინააღმდეგოდ ევროპისაკენ მიიწევს. თუ ეს დიდი მნიშვნელობის მქონე პროექტი დღეს განხორციელებული არ არის და მით ოდნავ მაინც არ არის შეფანტული და განელებული ბოსფორის მიდამოებში შეზღვავებული პოლიტიკური ღრუბლები, დამნაშავე ამაში ის ევროპიული ძალაა, რომელიც მთელ თავის ძლიერს გავლენას და ენერგიას იმას ანდომებს, რომ ომის შემდეგ შექმნილი ანორმალური მდგომარეობა და მით თავისი ბატონობა, დიდხანს შერჩეს ამა ქვეყანას.

არა ნაკლების, თუ უფრო დიდის სიძლიერით არა-იჩენს თავს აქ იმ ამბების გავლენა, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში და შუაგულ აზიაში ხდება. ინტერესი მათდამი და მათი გამოძახილი პრესაში თუ საზოგადოებრივ აზრში აქ დიდია და სავსე თანაგრძნობით და სიმპატიით მონღოლეთისა და თურქესტანის განმათავისუფლებელ მოძრაობისადმი. თურქესტანის ქვეშ საზოგადოებრივ აზროვნებას აქ უმთავრესად რუსეთის თურქესტანი ესმის და თავისი თანაგრძნობა დაჩაგრულ მოძმეთადმი შორს ვოლგამდის მიაქვს. „ხმა ერისა" აქ თავის უხილავი, მაგრამ სწორი და ძლიერი გზით მიდის, წინ უსწრებს და აფიქრებს თვით ოფიციალურ წრეებსაც. ნელ-ნელა ლაგდება და იკრიბება აქაურ გონებაში განსხვავება იმ ორ მსოფლხედველობისა და მათ მატარებელ ძალთა შორის, რომელთა ტიტანიური ბრძოლა დღეს სწორედ შორეულ აღმოსავლეთში და მონღოლეთ თურქესტანში აშკარად იშლება.

რუსულ დამრღვევ და დამშლელ, ღვთისა და კაცის დამგმობ და მომსპობ იდეებს, გავეულურებამდის მისულ ყმობას ეწინააღმდეგება კონსერვატიულ-პროგრესიული მსოფლხედველობა, წარსულის რელიგიოზური თუ სხვა საზნეობრივ შემკულის, წინ წამოწევა რწმენით და ღალადით, ახალი ბედნიერების და დოვლათის შესაქმნელად კლასთა ბრძოლის იდეოლოგიას, ადამიანში შემჯდარ მხეცს, ბოროტ ინტერნაციონალიზმს იგი უპირდაპირებს ერის მთლიანობის უზენაესობას, თავისუფლებას, ძმობას და სათნოებას.

იაპონიის წინსვლა დასავლეთისაკენ, გაცხოველებული აღებ-მიცემობა აქ და მოსაზღვრე ქვეყნებში, ხმები და პრესაში გამოსული ცნობები რუსეთთან და აქაურ მთავრობასთან დამოკიდებულებაზე უფრო აზვირთებს ამ გრძნობას და გუნებას. მიკადოს ცივ პასუხს ქემალის მხურვალე მილოცვაზე მემკვიდრის დაბადებისა გამო, იაპონიის სამხედრო [illegible] ხმელთაშუა ზღვაში, ხმებს დარდანელის გამაგრების და დაკეტვის შესახებ — საზოგადოებრივი აზრი თავის კომენტარიებს აძლევს. ვოროშილოვის მოულოდნელი ჩამოსვლა, დიდი წმინდა რუსული დაპირებანი, რასაკვირველია სხვის პოლიტიკურ ხარჯზე, ვერ ამშვიდებს ვერც აზრს, ვერც პოლიტიკურ ნერვებს და საზოგადოებრივი აზრი უფრო და უფრო მოითხოვს „მეტს სიფხიზლეს" რუსეთთან დამოკიდებულებაში. მართალია, ოფიციალური წრეები ნაკლებად იძლევიან ნიშანს ამ დამოკიდებულების გადასინჯვისა, მაგრამ აქა-იქ, ამა თუ იმ გავლენიან პიროვნებასთან მაინც მოჰკრავთ ყურს იმას, რაც დღემდის, აგერა კარგა ხნის შემდეგ, მოულოდნელი იყო. ცოტა არ იყოს იფხიკება ახალ მოღვაწეთა გონებაში დალაგებული რწმენა და სადღაც აზროვნების ძირში დალამული შიში „რუსეთის საფრთხის" წინაშე კვლავ იჩენს თავს და მასთან ერთად ოდნავ მოჩანს მოჩრდილული საქართველოს და კავკასიის პრობლემა' მუდმივი პრობლემა ოსმალეთ-რუსეთის დამოკიდებულებაში. აზრთ და პოლიტიკურ კომბინაციათა არქივიდან შუქზე გამოდის ძველი ურთიერთობა და ცდებიც დამოუკიდებელ კავკასიის ხსნისა, ასეთი საბედისწერო მნიშვნელობის მქონე ჩვენთვის. მოჩანს პირველი ცდა ქემალ ფაშისა საქართველოსა და ადერბეიჯანთან კავშირის შეკვრისა „რუსული ქაოსის წინააღმდეგ ბუნებრივი საზღვრის აღსადგენად და გასამაგრებლად;" უნიათობა ადერბეიჯანის მთავრობისა და ცინიკური რეჟიმობა ქართული მენშევიზმისა; უჭკვიანესი, დარბაისელი, სისხლით და სულით კავკასიელი, ბრძენი ვექირ-სამიბეის და მეორე დელეგაციის მისია და მათი სამწუხარო შედეგი; სხდომა საქართველოს პარლამენტში, ის საბედისწერო საღამო, როდესაც მაშინდელმა „კლდის" წარმომადგენლობამ მთელის მნიშვნელობით დასვა ეს პრობლემა და მოითხოვა „სწორე ანგარიშის გაწევა და კავშირი ისტორიულ მეზობელ ქვეყანაში აღმდგარ ეროვნულ მოძრაობასთან"; რამიშვილის ცინიკური პასუხი „თურქულ ბანდებზე და უადგილოდ დარჩენილ მეამბოხე გენერალზე (ქემალფაშა)"; საბედისწერო საღამო, რამაც თურქეთი მოსკოვისაკენ გაამგზავრა და საქართველოსათვის კი დაიწყო ის ტრაგედია, რომლის დაბოლოება სანაინი, ფოილოს ხიდი და ბათუმის დატოვება იყო.

ასეა დღეს აქ მდგომარეობა და მისი მნიშვნელობაც ცხადია ჩვენი მომავლისათვის — და უპირველესად ყოვლისა გვმართებს საღად შეწონვა იმისა, რაც ჩვენს გარშემო ხდება. რაც ხდება და რაზედაც ჩვენი ბედიც ჰკიდია — იმას კი ძალიან ნაკლები რამე აქვს იმ მარქსიზმის კარაბადინთან, სადაც ჩაიღრჩეს ქართული სული და გონება, დაუბნეს საღსარი აზროვნებისა ქართველ ერს ჩვენმა მენშევიკებმა და ახლა სისხლში ბანანეს თვით ერი ბოლშევიკებმა. და ერთი იმედი ჩვენი ხსნისა, რომლის გარე-

---

შეიძლება მხოლოდ ხელოვნურად, ისე როგორც მხოლოდ ხელოვნურად შეიძლება სიყვარულის გრძნობის მოკვლა ოჯახის წევრში თავის ოჯახისადმი. სამშობლო წარმოადგენს ერის გამაერთიანებელ ძალას, რომლის კეთილდღეობა და ეკონომიურ-პოლიტიკური სიძლიერე ერის ყოველ წევრის პირდაპირ ინტერესებში შედის. ერის ინტერესების დაცვა ნიშნავს დღევანდელ კულტურულ ადამიანისათვის მის უზენაეს იდეალს. რაც უფრო წმინდა ნაციონალისტურ ნიადაგზე დგას სახელმწიფო, რაც უფრო მეტ ნაციონალიზმისაკენ მიმართულია დღევანდელი ადამიანის აზროვნება და მოქმედება, მით უფრო მეტი საშუალება ეძლევა მთელ ერს განურჩევლად „კლასისა" ანუ უკეთ რომ ვსთქვათ პროფესიისა, მიაღწიოს კულტურის და ცივილიზაციის უმაღლეს დონეს.

საუკუნეთა განმავლობაში, რაც მსოფლიოს თავისი ისტორია ახსოვს, არ ყოფილა მაგალითი, რომ რაიმე დოგმა ან იდეა მთელი კაცობრიობისთვის გამოსადეგი ყოფილიყო, რომ კაცობრიობა, როგორც ერთეული, ერთ იდეას გაჰყოლოდა; ყოველი ამგვარი ცდა მარცხით დავდებოდა. და ეს მოვლენა სავსებით გასაგებია, რადგან კაცობრიობა ერთა კრებულია და ერები კი განსხვავდებიან ერთი მეორისგან მათი ხასიათით, აზროვნებით, ტრადიციით, და კულტურით. მოვიყვანთ მაგალითს: არის ლუტერის გამოსვლა მე-16-ე საუკუნეში შემთხვევითი მოვლენა? უკვე ლუტერამდის რომაული ეკლესია იყო გერმანელისთვის უცხო სარწმუნოება, რომელიც არ შეეფერებოდა არც მის შეხედულებას რელიგიურ საკითხებში, არც მის სურვილებს, არც მის ხასიათს. თვით გარეგნული ფორმაც რომაულ-კათოლიკური ეკლესიისა არის ჩრდილოელ კაცისათვის გაუგებარი. კათოლიკური სარწმუნოება გერმანელისთვის იყო უცხოეთიდან მოსული ძალა, გერმანელის სისხლმა არ მიიღო იგი. ლუტერის გამოსვლა იყო ის ბუნებრივი წინააღმდეგობა, რომელიც გაუწიეს ჩრდილოეთის ერებმა რომის სარწმუნოებას, რათა შეენარჩუნებინათ თავისი სპეციფიურ-ეროვნული სახე. დღეს ჩვენთვის წარმოუდგენელია მაგ. ნორვეგიელი როგორც კათოლიკი, მაგრამ წარმოუდგენელია ამავე დროს ესპანელი როგორც ლუტერანი.

თუ მარქსისტებს სწამთ, რომ მარქსიზმი ადრე თუ გვიან გავრცელდება მთელ დედამიწაზე, მარტო რასიულ თვალსაზრისის მიხედვით, სხვა საკითხებს რომ არ შევეხოთ, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყვეთ იმაში, რომ ეს არ მოხდება, რადგან მარქსიზმი არ არის რომელსამე ერთან ორგანიულად დაკავშირებული მოძღვრება, ის ვერ გაიგებს ვერც ერის ნამდვილ თვისებებს, ვერც მის სულისკვეთებას. მარქსიზმი უკვე a პრიორი იმიტომ არის მიუღებელი მაგ. ქართველი ერისათვის, რომ მარქსი არ იყო ქართველი; ერის გულის მთლიანი მოგება შეუძლია მხოლოდ იმ მოძრაობას, რომელიც თვით ამ ერში დაიბადა და აღიზარდა.

ფიქრი, რომ ნაციონალისტური პოლიტიკა ნებაუნებლიედ გამოიწვევს უბოლოო ომებს მეზობელ სახელწიფოებთან, რადგან ერთი ერის გაძლიერება თითქოს მხოლოდ მეორე ერის ანგარიშზე უნდა იყოს შესაძლებელი, სრულებით შემცდარი იქნებოდა. ასეთი წარმოდგენა პრინციპშიყალბია. საჭიროა აქ აღვნიშნოთ, რომ სწორედ კომუნიზმია მთელი თავისი შინაარსით იმპერიალიზმზე დამყარებული, რადგან უკვე სურვილში სხვა ერების გასაბჭოებისა გამოიხატება უდიდესი იმპერიალიზმი კომუნისტის რწმენა, თუნდაც გულწრფელი რომ სხვა სახელმწიფოების გასაბჭოება ხდება თვით მათივე ხალხის სასარგებლოდ, არ ცვლის ფაქტს, როგორც ასეთს. ნაციონალ-სოციალიზმი კი პრინციპიალურად უარყოფს სხვა ერების საქმეებში ჩარევას, სწორედ იმიტომ, რომ ის წმინდა ეროვნულ ნიადაგზე დგას და არა ინტერნაციონალურზე. ის წინდაწინ უარყოფს იმპერიალიზმს, რა ხასიათისაც არ უნდა იყვეს ის, რადგან მას უყვარს თავისი სამშობლო და ის პატივს სცემს და ანგარიშს უწევს ამავე გრძნობას სხვა ერებისა. გარდა ამისა ნაციონალ-სოციალიზმს უკვე თავისი შინაარსით არ შეუძლია იყვეს იმპერიალისტური, იმიტომ რომ ის წმინდა რასიულ ნიადაგზე დგას, ე. ი. მას უნდა შეინარჩუნოს ერი რაც შეიძლება წმინდად, ერში უნდა მხოლოდ ის ელემენტები შედიოდენ, რომელნიც ამ ერს თავისი სისხლით და რასით ეკუთვნიან. უცხო ელემენტები სახელმწიფოში მხოლოდ აქვეითებენ ერის ნამდვილ ღირსებას. უცხო ტერიტორიების დაპყრობას ნაც. სოციალიზმი სთვლის პირდაპირ ზარალად თავის ერისათვის. სწორედ იმით, რომ ნაც. სოციალიზმი არ არის იმპერიალისტური, აიხსნება ასე ხშირად მოყვანილი განცხადება მისი მეთაურებისა, რომ ნაც.-სოციალიზმი არ არის საექსპორტო საქონელი.

ზემოდ მოვიყვანეთ, რომ მარქსისტული თეორიით კაცობრიობის ყოველი წევრი მისი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით შედის ამა თუ იმ კლასში. მაგრამ „ქონება" არ არის ეგზაკტი ცნება, თუ ის ერის ფარგლებს გარეშე გავსინჯეთ. მაგალითად ქართულ პირობებში გლეხი, რომელსაც ხუთი ძროხა ჰყავს, ითვლება მდიდრად, ხოლო შლეზვიგ-ჰოლშტაინის ან ჰოლანდიის გლეხი, რომელსაც ხუთი ძროხა ჰყავს, ითვლება ღატაკად. მაშასადამე მარქსიზმის თეორიით ქართველი გლეხი, რომელსაც არც ერთი ძროხა არა ჰყავს და ჰოლანდიელი, რომელსაც ხუთი ჰყავს, ერთი და იმავე პროგსამის ძალით, რომელიც როგორც ჰოლანდიელისთვის, აგრეთვე ქართველისთვის სავალდებულოა, ერთსა და იმავე კლასში შედიან და ორივეს ერთიდაიგივე ინტერესები აქვთ. ამ მარტივ მაგალითიდან ჩანს, რომ ცნება მდიდარი ან ღარიბი ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, თუ ის გასინჯულ იქნა ერის ფარგლებს გარეშე ცნება „სიმდიდრე" ან „სიღატაკე" არის მაშასადამე რელატივი. ამიტომ ნაციონალ-სოციალიზმი ამბობს: მოქალაქის ინტერესების დაცვა შეიძლება მხოლოდ ერის ფარგლებში, და უკეთუ საჭირო გახდა სოციალური რეფორმების გაყვანა, ის არ უნდა მოხდეს ამ ერში არ შემავალ პიროვნების ან ჯგუფის კარნახით. განსაკუთრებული ზომების მიღება სოციალურ ცხოვრებაში და რაიმე რეფორმების გაყვანა იქცევა სოციალურ უსამართლობად, თუ ისინი ამავე პროგრამით სხვა ერებზე გადატანილ იქნენ. აქედან წარმოიშვა თვით სიტყვა ნაციონალ სოციალიზმი, როგორც დიამეტრალურად მოპირდაპირე ცნება ინტერნაციონალური სოციალიზმისა.

როცა მარქსიზმი ყველა ერების მუშებს ერთად აყენებს, ე ი ადამიანებს, რომელთაც კლასიური დანაწილების მიხედვით იგივე ინტერესები აქვთ, ის ღებულობს როგორც აქსიომას, რომ ყველა ისინი ერთმანეთს უდრიან. მარქსისტული თეორიის მიხედვით საკმარისია ფრანგი მუშის და ქართველი მუშის გაერთიანებისათვის მხოლოდ ის, რომ ერთსაც და მეორესაც არაფერი აქვთ. ნაც.-სოციალიზმი კი ამბობს: იმისთვის, რომ ესენი ერთიმეორეს უდრიდენ, საჭიროა არა მარტო ერთ პუნქტში თანასწორობა, არამედ ყველა სხვა პუნქტებშიც. მარქსიზმის მატერიალისტურ შეხედულებას კაცობრიობაზე, რომელმაც ადამიანი პირუტყვთან ერთად დააყენა, ნაციონალ-სოციალიზმი უპირისპირებს შემდეგ დებულებას: მაჩვენებელი იმისა, თუ რომელ „კლასს" ეკუთვნის ადამიანი, არის არა მისი ქონება, არამედ მისი აზროვნება, მისი ადამიანური ღირსება, კულტურა და რასა. მაშინ ის ეკუთვნის ერთ „კლასს" და ეს კლასი არის მთლიანი ერი.

რაში გამოიხატება ეხლა ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის სოციალიზმი? ამაზე პასუხის გაცემა შეიძლება ორი სიტყვით: კერძო ინტერესებზე მაღლა დგას საზოგადო ინტერესები.

ეს რათქმაუნდა არ ნიშნავს, რომ პიროვნება მსხვერპლად მიეტანოს სახელმწიფოს, როგორც ეს საბჭოთა რუსეთში მოხდა. პირიქით, ნაც.-სოციალიზმი მხარს უჭერს კერძო ინიციატივას, რადგან ერის ეკონომიური სიძლიერე დამოკიდებულია იმ ერთეულებისგან, რომელნიც ერში შედიან. ამიტომ ნაციონალ-სოციალიზმი არათუ აღიარებს კერძო საკუთრებას, არამედ აცხადებს მას სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ. ამ გვარად კერძო საკუთრება არის წმიდათა წმიდა და ის ფუნდამენტი, რომელზედაც სახელმწიფო თავის ეკონომიურ კეთილდღეობას აშენებს. მაგრამ სახელმწიფოს აქვს ყოველ დარგში კონტროლის უფლება მას შეუძლია ჩაერიოს კერძო ინიციატივის მოქმედებაში, თუ მოქალა-

შე არც მომავალი გვაქვს და არც არსებობა — არის განკურნვა ამ მურტალი სენისაგან. ოღონდ საქართველომ იპოვოს თავი, იცნას სული და სახე თვისი, აღივსოს ღირსებით და მომავალი ეროვნული ცხოვრების სურვილით და იგი გაიტანს თავს მოწოლილ და კარზე მომდგარ ხვეულისაგან, როგორც არა ერთხელ შეუძლებია მას თავის უმაგალითო ხანგრძლივ ცხოვრებაში.

ყარა-ალა ზადე (ძველი აჭარელი).

---

## „ბრძოლის ხმა"-ს.

თქვენი გაზეთის N 44-ში „ჩვენი პასუხში" სხვათა შორის ეხებით „პოსლ. ნოვ."-ში მოთავსებულ ცნობას და დასძენთ თქვენით: „აქედან აშკარაა, რომ თვითონ ქარუმიძე და ყალბი ჩერვონცები დასახულია პოლიტიკურ საქმეთ ხოლო ჩოლოყაშვილის საქმე კი სისხლის სამართლის აქტად. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ეგ არ არის მართალი, და ასეთი ფორმის დემანტის დაბეჭდის აზრი ცხადია: ხელი დააფაროს ქარუმიძეს და უდიერად მოიხსენიოს განსვენებული ჩოლოყაშვილი". შემდეგ იკითხებით: „ვინ მისცა ასეთი ინფორმაცია რედაქციას?"

ცხადია, რის თქმაც გინდათ, რა მორიგ ფ ა ნ დ ს ა ც უშვებთ ბაზარზე.

„პოსლ ნოვ." 10 აგვისტოს ნომერში მოთავსებული დემენტი შეეხება გამყრელიძის წერილის იმ ადგილს, რომელიც მე შემეხებოდა. რვა აგვისტოს მე ვინახულე „პოსლ ნოვ." რედაქცია: მილიუკოვი და ვაკარი. წერილის ტექსტზე ვერ მოვრიგდით. დაიტოვეს უფლება ეფიქრათ კიდევ. მეორე დღეს ვაკარმა დამიძახა ტელეფონით და გამაცნო დემენტის პროექტი, რომელიც მე არც უარმიყვია, არც დამიდასტურებია. ჩემი გადაწყვეტილება იყო: საქმე სასამართლოში შემეტანა და ვექილიც აყვანილი მყავდა. დემენტის თვით რედაქციის მიერ დაბეჭვდის შემდეგ ეს საშუალება წამერთვა ასე გახლავთ ამ დემენტის ამბავი. ეხლა დავუბრუნდეთ ზემოთ მოყვანილ თქვენს მორიგ ინსინუაციას და კითხვას. თქვენ რა იცით, ან რას ამჟღავნებთ ამ საქმეში თქვენი საქმეა; არც სიმართლესთან, არც გონიერებასთან, არც უბრალო ადამიანობასთან მას არასოდეს არაფერი ჰქონია. ქვეყანამ კი ერთი რამ იცის: განსვენებული ჩოლოყაშვილი განთავისუფლებულ იქმნა გამომძიების მიერ და საქმე მის მიმართ მოსპობილ იქმნა გარკვეული იურიდიული დებულებით „non lieu" — საქმეს ადგილი არ ჰქონია. ამ დადგენილების შემდეგ ვისა აქვს უფლება განსვენებულის სახელი ან პარიზის, ან ბერლინის პროცესს დაუკავშიროს? ასეთი განმარტებაც მივეცი თქვენ მიერ ყალბი ცნობებით გალესილ რედაქციას. თქვენთვის უცხო ხილი და გაუგებარია, რასაკვირველია, მორალის ის კოდექსი, რომლის ძალითაც ადამიანს ერთნაირი მორიდება უნდა ჰქონდეს მეორე პირის დაცვაში, სანამ თვითონ ერთნაირის ბრალდების ქვეშ დგას, როგორც მაშინ მე რედაქციის წინაშე ვიყავი თქვენის წყალობით. თქვენ, საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლებად რომ მოგაქვთ თავი, მიიღეთ ოდესმე რაიმე ზომები დაგეცვათ ამ დადგენილების ძალით და მიხედვით სახელი და პატივი ქართველი მოქალაქისა და ისეთი მოქალაქისა, როგორიც განსვენებული იყო? როდის, სად? პირიქით — თქვენ და თქვენი წრე არის სწორედ ის წყარო, საიდანაც მის წინააღმდეგ ბრძოლა სწარმოებდა და სწარმოებს დღესაც. ჯერ საქართველოში 1922 წელს ერის განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაბმულს და მეთაურს თქვენ ჩაეცით ზურგში დანა, გ ა მ ო უ შ ვ ი თ მ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ პ რ ო კ ლ ა მ ა ც ი ა, ს ა დ ა ც მ ტ ე რ თ ა ნ ე რ თ ა დ მ ა ს ბ ა ნ დ ი ტ ს უ წ ო დ ე ბ დ ი თ. სტამბოლში პარიტეტულ კომიტეტში გაბედეთ და მოგვთხოვეთ, რომ დასტური დაგვეცა თქვენთვის და ჩოლოყაშვილი ბანდიტად და მის სახელთან შეერთებული ქართველი ერის მოძრაობა ყაჩაღობად გამოგვეცხადებია. აქ ჩამოსვლის შემდეგ სული გაუმწარეთ, მონმარტში ჩაღრჩობით დაემუქრეთ, ერის გმირი „ჩაფრად და ოფიცერიშკად" მონათლეთ, ჟორდანია-რამიშვილის ცნობილ წერილებში ქურდულად და მურტლად ჩეკის გზით დააბეზღეთ ერის წინაშე; არ მოერიდეთ არასფერს, რომ შუღლი, მტრობა და სისხლიც კი ჩამოგეგდოთ მის და მის თანამებრძოლ მიმდევართა შორის. რამდენი „დანოსი" გაქვთ შეტანილი წერილობით თუ ზეპირად ან თქვენ ან თქვენს თანამშრომელთ განსვენებულზე კომისარიატებში და „რაზვედკებში"? წელთა განმავლობაში განა თქვენ არ აწარმოებდით მის წინააღმდეგ კამპანიას? განა ავტორნი და სულის ჩამდგმელნი გამყრელიძის წერილისა თქვენ არა ხართ? რატომ არ აღელდით ჩოლოყაშვილის ავად მოხსენებით მაშინ, როცა ის წერილი დაიბეჭდა „პოსლ. ნოვ."-ში, რატომ არ განაცხადეთ პროტესტი? ხომ ყველაფერი ხელთ გქონდათ: ქაღალდიც, კალამიც და რუსული რედაქციაც და მასთან ავან-ჩავანობა ქართული ღირსების წინააღმდეგ?

თქვენ გაღელვებთ არა დედანი, არა მთავარი წყარო, რომლის ავტორნი და სულის ჩამდგმელნი თქვენა ხართ, არამედ დემენტი, დაბეჭდილი ცნობის უარისყოფა, რომელიც, როგორც მიღებულია, მეორდება იმავე ადგილზე, იმავე შრიფტით და სხვ , როგორც დედანი.

ახლა გამოდიხართ ჩოლოყაშვილის სახელის დამცველად?! ამ წმინდა სახელით გნებავთ კვლავ სთესოთ შხამი და გესლი ქართველობაში? ეს არ არის განა აზრი თქვენი მორიგი ნასროლისა? მაგრამ, შორს პილწი ხელი ქართულ საფლავიდან, გველი გული ქართულ შარავანდედიდან!

ამბობთ — მართალი იცით. მაშ იცით, რომ ჩერვონცების საქმეში, რომელიც მოსვენებას არ გაძლევთ, რომელმაც, ვინ იცის, რამდენი აბდაუბდა გაროშვინათ და რომელმაც მთლად გადმოასარკევა თქვენი ზნეობრივი და გონებრივი დოვლათი და ავლა-დიდება, — რომ ამ საქმეში პ ი რ დ ა პ ი რ ი და ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ი ყ ო თ ქ ვ ე ნ ი ო რ ი ბ უ მ ბ ე რ ა ზ ი, ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ: ნ ო ე რ ა მ ი შ ვ ი ლ ი და ნ ო ე ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

ამ ჩემს განცხადებაში, რომლისთვისაც მოვალე ვარ, მზადა ვარ ვაგო პასუხი და უნდა ვაგო კიდეც, სახეში ან საბუთად რამიშვილის ტრაბახით წამოსროლილი ნაკვესი — „თავიდან ვიცოდი მე მაი საქმე", რომელიც ყველა თქვენგანს გაგონილი აქვს, არა მაქვს. ასეთი რამე სჭრის იქ, საცა „სვინიდისი კიდევ მოციქულობს" და ადამიანი პირუტყვულ პრიმიტივობას აცილებული არის. „გარეცხილ" კრებულში და ხალხში რა გასავალი და ფასი აქვს მას!

სიმართლე დოკუმენტალური ფაქტების მიხედვით შემდეგია:

პარიზში, Hotel „Garibaldi", 1926 წ. მოხდა პირველი შეხვედრა და ლაპარაკი მტერთან საბრძოლველად ჩერვონცების დაბეჭვდის შესახებ. ჩემი მობაასე გახლდათ ჟორდანიის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი ერთ დიდ ქვაყანაში, სადაც მას ნორმალურ წარმომადგენლობასთან განსაკუთრებით შეუზღუდველი დავალებანიც ჰქონდა. ეს ის პირი გახლავთ, რომლისგანაც მაშინ „ფინანსიურ" აშენებას და ხსნას მოელოდით და რომელსაც ისე უვლიდით და ეარშიყებოდით, როგორც დღეს ილბლიან მეფეს და ამერიკულ მდიდარ მზითევს.

მოლაპარაკება შემდეგი მორიგებით გათავდა: მე ვიკისრე ტექნიკურად საქმის მოწყობა და მისი გაძღოლა; ჟორდანია-რამიშვილის დელეგატმა კი — მთელი ხარჯების შოვნა და აგრეთვე პოლიტიკურად გვერდში ამოდგომა და დაფარვა. უკანასკნელი პუნქტი, რაკი იგი მხოლოდ სიტყვიერად იყო განცხადებული, მეტ შემტკიცებას მოითხოვდა. ამ მიზნით რჩება პარიზში ბარონი შტენგელი; მე მივდივარ უკან შესაძლებლობის გამოსარკვევად. მეხუთე დღეს ბ-ნი შტენგელი წერილით მატყობინებს, რომ „ეს პუნქტი სრული სერიოზობით არის ნაკისრი რამიშვილის მიერ". მეორე წერილში იგივე მწერს: „დღეს ბ-ნი x (ასე დავარქვათ ჯერჯერობით ჟორდანიას ელჩს) გაემგზავრა, რომ ფულის გამოგზავნა დააშუროს; რაც შეეხება თქვენ მიერ წამოყენებულ საკითხს პოლიტიკური მხარის დაჭერის და პასუხისმგებლობის გაზიარების შესახებ, იგი გთხოვსთ, ამაში დამშვიდებული და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ". უნდა ითქვას ბ-ნი შტენგელი უცხო და უცნობი კაცი არ იყო რამიშვილისათვის. მას ოფიციალური წარმომადგენლობა (1925 წ.) ჰქონდა მიცემული რამიშვილის მიერ გერმანიაში გერმანელ და რუს მემარჯვენეთა შორის მუშაობის შესახებ (იხ. წერილობითი საბუთი). აქვე მატყობინებენ, რომ დაბრუნებისას რამიშვილს ჩემი ნახვა უნდა და ეს უეჭველივ უნდა მოხდეს. ორი კვირის შემდეგ ვბრუნდები, თან მომყავს საქმის მცნობი და მცოდნე კაცი. ავ. გრანდ არმეზე, ჩემ სასტუმროში ხდება შეხვედრა. მოლაპარაკებას ესწრება ჩემთან ჩამოსული მცოდნეც. იგი აცნობს რამიშვილს მთელ გეგმას და მე ვუტოვებ წერილობით სმეტას. რამიშვილს ეს სმეტა, რასაკვირველია, არ დაუკარგია და იგი საკუთარი ხელით მოართვა გამოძიებას ბერლინში ჩემ წინააღმდეგ (იხ. გამოძიების არქივი). მოლაპარაკების დროს რამიშვილი ნოე ჟორდანიის სახელითაც გველაპარაკებოდა და ხაზგასმით გვაფრთხილებდა, ჩემს და ჟორდანიას გარდა ეს საქმე არავინ იცის და არც არავინ უნდა იცოდესო. ვბრუნდებით უკან და ვუდგებით თადარიგს. ჟორდანია-რამიშვილის „ელჩი" მე და შტენგელს გვიგზავნის დეპეშას — შინაარსით: საკმარისია თუ არა ამდენი და ამდენი თანხა საქმის დაწყებისათვისო. ჩვენს დადებით პასუხზე მოგვდის მეორე, მეტად მარტივი დეპეშა: folgt (მოდის). შემდეგ რამდენიმე წერილი, ქართულ წარმომადგენლობის ბლანკზე ნაწერი. წერილებში ერთი და იგივე: ვიმუშაოთ, მალე მოდის და მოაქვს კიდობანი (იხ. დეპეშები (ორი) და წერილები). თვეები გადის, ფული არ ჩნდება. პარიზში კვლავ ხვდება რამიშვილი ნაცნობ მცოდნეს. მისგან ვტყობილობთ, რომ „ფინანსისტი", რომლისგანაც მათი ელჩი ფულს ელოდა, წყალში დამხრჩვალა სადღაც, რა მოსვლია დაკეცილ დოლარებს, კაცმა არ იცის. „მაგრამ, დასძენს რამიშვილი, მაი საქმე მაინც უნდა გაკეთდეს, განაგრძეთ, სხვა წყაროდან მოგეშველებითო!" ამით თავდება პირველი ეტაპი ჩვენი თანამშრომლობისა. იწყება მეორე. მე ჩემი გერმანელი მეგობრებით ვაგრძელებ საქმეს. შემთხვევით სტამბოლში რამიშვილი „წააწყდა" ფაქტს, რომელიც არწმუნებს, რომ საქმე გრძელდება და წინ არის წასული. მიბარებს, ვხვდები იმავე მოწმის თანადასწრებით. ჩვეული რიხით მეკითხება - „რავაა საქმე"; ეპატრონება საქმეს, თხოულობს მის გამგებლობას. უარს ვეუბნები. ვშორდებით ერთმანეთს. მემუქრება დანგრევით და მოსპობით. მუქარას ახორციელებს: ა) პარიზში ამყოლი ხალხი პარტიის ძველ წევრს, მის ერთერთ დამფუძნებელს, კომიტეტისა და აღმასრულებელ ბიუროს წევრს პარტიიდან მრიცხავს ბრალდების წამოუყენებლივ, დაუკითხავად და მიკრძალავს პოლიტიკურ მუშაობას. ეს დადგენილება ეგზავნება ყველა გერმანელს, რომელთანაც კი ჩემ კავშირს გულისხმობენ. ბ) საქართველოში იგზავნება ცნობილი ჟორდანია-რამიშვილის წერილები პრაგელის ხელით. შინაარსი ყველამ იცის. კიდევ არის მეორე წერილი რამიშვილის ხელით დაწერილი, მურტალი ცილისწამება და დაბეზღება განადგურებულ ოჯახთან და ძაძით მოსილ მახლობლებთან...

გვემართება მარცხი. გვდევნის მართებლობა. რამიშვილი უმალ ჩნდება ბერლინში, თავისი ინიციატივით (ის არავის მოუწვევია), ერევა გამოძიებაში, აძლევს ცნობებს, რომელთაგან ბევრი ზიზღს იწვევს გამომძიებლის თვალში და უკან უბრუნდება. ჟორდანიის განკარგულებით მისი რწმუნებული აარსებს ინტერპარტიულ ბიუროს ჩემს წინააღმდეგ სასამართლოში და პრესაში საბრძოლველად. ბოლშევიკნი და მენშევიკნი ტკბილად თანამშრომლობენ; მობოლშევიკე გაზეთების ფურცლები ღიაა და ივსება მენშევიკთა ნაწარმოებით. ყველა მათგან მოწოდებული ცნობა ყალბი დგება და ყალბი არის. სასამართლოს დადგენილება მათზე არა მოქმედობს. ითხზება ზღაპრები ვინმე დოლიძეზე და სხვ. იჭორება პრესა, ყალბდება საზოგადოებრივი აზრი. და დღემდის გრძელდება ეს თქვენი ბნელი კამპანია.

მეტყვიან — რატომ დღემდის არ გამოვაქვეყნე ეს ამბავი, რატომ საბრალმდებლო სკამზე ჩემთან ერთად ჟორდანია და რამიშვილი არ ისხდენ? არ დავმალავ, უმთავრესად სწორედ იმიტომ, რომ ამ ბატონთა სხდომა საქმეს დაამძიმებდა, საქმეს რწმენითი სახეს შეუჭუჭყიანებდა. სამართალი სხვა რამ გახლავთ და მისი ყოველმხრივ მჭვრეტელი თვალი ვინ იცის, რა სიმძორეს აღმოაჩენდა, ვინ იცის რამდენი ლანდი უდანაშაულოდ დევნილი დიდი და საშუალო ქართველისა წამოიშლებოდა მეხსიერებისა და თვალსა წინაშე, რამდენი შავი საქმე გადაეშლებოდა საზოგადოებრივ აზრს... ამას მოვერიდე.

ამბობთ, მართალი იცით აი მართალი ეს გახლავთ! სხვა სიმართლე არ არსებობს და მე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას ყოველი აქ აღბეჭდილი სიტყვისა და აზრის სიმართლეზე, და მოველი რა, რომ მომთხოვთ ამის დამტკიცებას, აქვე გაახლებთ ჩემი ვექილის ვინაობას და მისამართს: Dr. A. Menz, Rechtsanwalt BerlinW 15, Fasanenstraße 74.

შ. ქარუმიძე

---

## ერთი ფრანგის შთაბეჭდილებანი საბჭოთა რუსეთში.

(როგორ ეპყრობა რუსეთი თავის სტუმრებს).

უკანასკნელ წელიწადს საფრანგეთში მოდად გადაიქცა ნაირნაირი მისიების გზავნა საბჭოთა რუსეთში, რათა - ამას წინათ მომხდარი საფრანგეთ-რუსეთის დაახლოვება - ამით უფრო განმტკიცდეს. რამდენიმე თვის წინ მოსკოვში ჩავიდა ერთი — ექიმებისა და ქირურგებისაგან შემდგარი — სამეცნიერო დელეგაცია, რომელიც მიზნად ისახავდა, გასცნობოდა მიუდგომლად საბჭოთა რუსეთის ყოფა-ცხოვრებას და აგრეთვე რუს მეცნიერებთან უშუალო ურთიერთობა დაემყარებია. ამას წინათ ეს კომისია დაბრუნდა. მისი რამდენიმე წევრი უკან მგზავრობისას გავლით დარჩა მოკლე ხნით ვარშავასა და ბერლინში.

მე მქონდა შემთხვევა გამეცნო ხსენებული კომისიის ერთერთი წევრი ქირურგი ბ. პაულ მიშანი (Paul Michand). თხოვნაზე, გაეზიარებია ჩემთვის მისი შთაბეჭდილებანი, მან მიამბო დაახლოვებით შემდეგი:

„მე ვარ ერიოს (Herriot) ახლო მეგობარი. როცა მე რუსეთს მივემგზავრებოდი, რჩევა-დარიგებანი მისგან მივიღე, და მოსკოვში ჩავედი რუსთა გულწრფელი მეგობარი. დღეს კი ვბრუნდები როგორც ფაშისტი და საბჭოთა სისტემის მოწინააღმდეგე. საფრანგეთში რომ ჩავალ, მოვნახავ ჩემს მეგობარს ერიოს და მასთან ამის შესახებ ლაპარაკი მექნება.

რუსეთის ვითარება აუწერელია. იმდენი სილატაკე და გაჭირვება, როგორც სწორედ მოსკოვში, მე არსად მინახავს. ხალხი ჭინჭებსა და ფარატინებშია გახვეული, მათს სახეში შიმშილი, გაჭირვება და ტანჯვა გამოსჭვივის. მძიმე და შემაძრწუნებელია იქაური ცხოვრება. დიდი ქალაქის ღამე, როგორცამას პარიზი ან ბერლინია ჩვეული, მოსკოვისთვის უცნობია. თვით უცხოელიც ვერაფერს შოულობს, თუ ის რაიმე მისიის წევრი, ან „ინტურისტის" საშუალებით ჩამოსული არ არის. მე თვითონ ვნახე, რომ ერთი ამერიკელი, რაღაც ბედით მოსკოვში ჩამოსული, ერთერთ უდიდეს სასტუმროს სასადილოში მთელი საათი უცდიდა საჭმელს უშედეგოდ; მოსამსახურენი გულისტკივილს გამოსთქვამდენ, რომ ვერაფრით გაუმასპინძლდებიან.

მოსკოვში განუსაზღვრელი ბატონია „გ.პ.უ.". უცხოელს ყოველ ნაბიჯზე დასდევს და უთვალთვალებს მისი ერთი ანორი ჯაშუში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში) ბს.

---

ქის ეკონომიური კეთილდღეობა აღარ არის შედეგი პირდაპირი შრომისა. მაგალითად სახელმწიფო არ უშლის მრეწველს გაადიდოს თავისი საწარმოო, მაგრამ იმას აქვს ნაციონალიზაციის უფლება, თუ საწარმოო გადაიქცა ე. წ. სააქციო საზოგადოებად, ვინაიდან აქ ნამდვილი კერძო ინიციატივის სახე უკვე დაკარგულია. წმინდა მნიშვნელობა და დანიშნულება კერძო საკუთრებისა აქ თავდება და იწყება სპეკულაცია. აქციონერი ღებულობს მოგებას მხოლოდ იმიტომ, რომ მას აქვს ფასიანი ქაღალდები, ე. ი. ის ცხოვრობს პროცენტებზე. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო სდებს „ვეტოს" და მას აქვს უფლება საზოგადოების დაშლისა. აქედან თავისთავად ჩანს, რომ ნაციონალ-სოციალიზმი წინააღმდეგია ყოველგვარ სააქციო საზოგადოებათა, სინდიკატების, ტრესტების და სხვა. მრეწველობის დიდი ფაქტორები, როგორიც არის რკინისგზები, მაღაროები, ბანკები, იმყოფება სახელმწიფოს ხელში.

ნაციონალ-სოციალისტურ სახელმწიფოში სოციალურ უსამართლობას არ შეუძლია ჰქონდეს ადგილი, რადგან სახელმწიფო თვალყურს ადევნებს მოქალაქის მოქმედებას ეკონომიურ ცხოვრებაში, ის კონტროლს უწევს მოგებას, სამუშაო ხელფასს, დროს და სხვ. თუ მრეწველს ავიწყდება, რომ მისი მოღვაწეობა ერის ინტერესებისკენ უნდა იყვეს მიმართული, სახელმწიფო იხმარს სათანადო ზომებს. ასეთი მაგალითები საკმაოდ ცნობილია გერმანიის ცხოვრებიდან ნაციონალ-სოციალიზმის მიერ ხელისუფლების აღების შემდეგ.

თავისთავად ცხადია, რომ წოდებრივი პრივილეგიები არ არსებობს. ყველა არის წევრი დიდი ოჯახისა და უნდა იმოქმედოს ისე, როგორც ამას ერის ინტერესები მოითხოვენ. ყველა ასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე იმის მიხედვით, თუ რა დარგს ეკუთვნის იგი. მუშა, მრეწველი, გლეხი, მოსამსახურე, მოხელე არიან წარმომადგენელნი პროფესიების და არა კლასების.

მიწის საკითხში ნაციონალ-სოციალიზმი ემყარება შემდეგ ფორმულას: მიწის შეძენა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც მიწას თითონ ამუშავებს.

აქედანვე უკვე გარკვეულად ჩანს ნაციონალ-სოციალიზმის დამოკიდებულება გლეხობასთან: გლეხობა არის ის პოზიტიური და ხალხოსნური ელემენტი, რომლისგანაც დამოკიდებულია ერის კეთილდღეობა როგორც მატერიალურ, აგრეთვე მორალურ მხრივ. ამიტომ შენახვა ეკონომიურად მძლავრი გლეხობისა არის ფუძე ეროვნული სახელმწიფოსი.

ამგვარად ჩვენ გავეცანით ნაციონალ-სოციალიზმის მთავარ დამახასიათებელ მხარეებს, მის იდეოლოგიას. ხოლო რაც შეეხება მის პროგრამას, ეს შეგვიძლია ჩავსთვალოთ გერმანიის საშინაო საკითხად. ჩვენ აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ეს პროგრამა შეიცავს ყველა იმ პუნქტებს, რომელნიც სწყვეტენ გერმანიის საჭირბოროტო საკითხებს როგორც საშინაო, აგრეთვე საგარეო პოლიტიკაში.

ამ პროგრამის ბრმად გადატანა შეუძლებელია, რადგან ისშედგენილია ერთი ერისათვის. მარქსისტული პროგრამები სწორედ იმის გამოა უტოპიური, რომ ისინი სავალდებულო არიან მთელი მსოფლიოსათვის. მაგრამ თუ ეს პროგრამა საქართველოს პირდაპირ არ შეეხება, მას შეეხება ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგია, მისი დედააზრი. ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, თუ რანაირი გასაჭირისგან გადაარჩინა მან გერმანია. მან მისცა გერმანელ ერს ახალი იდეალები, მისცა მას ცხოვრების შინაარსი, მან დააყენა გერმანია იმ ნიადაგზე, რომელმაც გადაარჩინა 65-მილიონიანი ერი კომუნიზმისაგან. ეს ნიადაგი არის უაღრესი ნაციონალიზმი. ნაციონალიზმი არის დღეს ერთადერთი ძალა, რომელსაც შეუძლია მარქსიზმის მთლიანად იდეოლოგიური მოსპობა. გერმანიის მაგალითი გვიჩვენებს იმ გზას, რომელზედაც უნდა დადგეს ერი, თუ მას ჰსურს იხსნას თავი საბოლოო კატასტროფიდან. დასავლეთიდან დაიწყო ქართველი ერის მოწამვლა და ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მისი განკურნებაც აქედანვე დაიწყება.

რ. ჯაში.

---

Herausgegeben von der Organisation der Georgischen Nationalisten in Deutschland e. V.

Hauptschriftleiter:
Dipl.-Ing. R. Djaschi, Berlin-Charlottenburg

Satz und Druck:
Asmus-Druck, Charlottenburg 1, Berliner Straße 119